სტუდენტების კმაყოფილება სადოქტორო განათლებით თსუ მედიცინის ფაკულტეტზე

10.02.2021

ნინო ჩიხლაძე, მაკა ჯორბენაძე, ქრისტინე ჩიხლაძე
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი,
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

შესავალი. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) მოქმედებს 47 სადოქტორო პროგრამა, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტზე სამი. უნივერსიტეტში სტუდენტთა საერთო რაოდენობაა - 20005, მათ შორის სადოქტორო პროგრამებზე აქტიური სტუდენტების რაოდენობაა - 1002, ხოლო შეჩერებული სტატუსი აქვს 1344 სტუდენტს. თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მოქმედებს სამი სადოქტორო პროგრამა: კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია და ბიოტრანსლიაციური მედიცინა.



სტუდენტთა კმაყოფილება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც განაპირობებს წარმატებას სასწავლო პროცესში. თსუ მედიცინის ფაკულტეტის ფაკულტეტზე მიმდინარე ევროკავშირის ERASMUS + პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის (DPPHSS სადოქტორო პროგრამები საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და სოციალურ მეცნიერებებში) მიზნების შესაბამისად სადოქტორო პროგრამის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია'' განახლებისა და პროგრამული აკრედიტაციისთვის მომზადების პერიოდში მიზნად დავისახეთ

შეგვესწავლა დოქტორანტების კმაყოფილება. კვლევა ჩატარდა 2020 წლის ნოემბერში. კითხვარი მოიცავდა რამდენიმე ბლოკს. დებულებები დოქტორანტებმა შეაფასეს ლიკერტის ხუთქულიანი სკალით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სამივე პროგრამის სტუდენტებმა (სქემა 1). გამოკითხულთა უმეტესობა ქალებია (88,0%), უმეტესობა 25-35 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება (სქემა 2).



შედეგები. გამოკითხულ დოქტორანთა 42,0% ეთანხმება, ხოლო 57,5% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ სასწავლო კომპონენტის ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამისთვის ადეკვატურია. დებულებას, რომ სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამის მიზნებს სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 60.6% და ეთანხმება 36% (სულ 96,6%). დებულებას, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ადეკვატური და თანამედროვე ლიტერატურა სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 51.5% და ეთანხმება 42% (სულ 93,5%). დებულებას, რომ სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 48,4% და ეთანხმება 45,5% (სულ 93,9%). დებულებას, რომ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს, სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 48,4% და ეთანხმება 48,4% (სულ 96,8%). დებულებას, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (ტექნიკური აღჭურვილობით, ლაბორატორიებით და სხვა

რესურსებით), სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 39,3% და ეთანხმება 42,4%, (სულ 81,7%). დებულებას, რომ ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია, სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 72,7% და ეთანხმება 24% (სულ 96,7%). დებულებას, რომ კვლევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია, სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 66,6% და ეთანხმება 30% (სულ 96,6%). დებულებას, რომ უნივერსიტეტის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (Google Scholar, Web of Science, Scopus) ხელმისაწვდომია სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 66,6% და ეთანხმება 30%, (სულ 96,6%). დებულებას, რომ კვლევის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია (ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები და სხვა რესურსები) სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 45,4% და ეთანხმება 39,3%, (სულ 84,7%). დებულებას, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების საერთაშორისო მობილობას- სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 39,5% და ეთანხმება 36% (სულ 75,5%). დებულებას, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში თუ სხვა ღონისძიებებში - სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 48,5% და ეთანხმება 33% (სულ 81,5%). რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კომუნიკაცია სამეცნიერო ხელმძღვანელთან ძირითადად პირისპირი კომუნიკაციით (94%) და ელექტრონული ფოსტით ხორციელდება.



რაც შეეხება დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან შეხვედრის სიხშირეს, ყველაზე აქტუალურად გამოკითხულთა 67,0% აფიქსირებს შეხვედრებს თვეში რამდენჯერმე, ხოლო, 18,0% აღნიშნავს, რომ მათი შეხვედრა ხორციელდება რამდენიმე თვეში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ 5% აღნიშნავს, რომ ძალიან აქტიურად უხდება სამეცნიერო ხელმძღვანელებთან კომუნიკაცია.

დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელთან კომუნიკაციის ძირითად თემას წარმოადგენდა: კვლევითი კომპონენტების განსაზღვრა (68%), სადისერტაციო ნაშრომის თემატური და ფორმალური მხარის დეტალების დაზუსტება (76%), რეკომენდაციები მაღალრეიტინგულ კვლევით პერიოდიკაში ბეჭდვის, საერთაშორისო ფორუმებსა და ღონისძიებებზე მონაწილეობასთან დაკავშირებით (52%) და რეკომენდაციები ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო სისტემასთან დაკავშირებით (48%). ზოგადად დოქტორანტების 91% აღნიშნა, რომ თანამშრომლობა ძალზე წარმატებულია, ხოლო 9%- მეტნაკლებად წარმატებული.

დასკვნა. კვლევამ გამოავლინა, რომ დოქტორანტების უმეტესობა პოზიტიურად არის განწყობილი თსუ მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების მიმართ და ისინი კმაყოფილები არიან სადოქტორო განათლების ხარისხით.

შეაფასეთ დებულებები 4 ქულიანი სკალით, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 4– „სრულიად ვეთანხმები“.	1	2	3	4
სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ადეკვატურია	0%	3%	42%	55%
სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია	0%	0%	42%	57,5%
პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები პროგრამის მიზნების შესაბამისია	0%	3%	36%	60,6%
სასწავლო პროცესში გამოყენებულია ადეკვატური (მათ შორის, თანამედროვე) ლიტერატურა	0%	6%	42%	51,5%
სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია	0%	6%	45,5%	48,4%
სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს	0%	3%	48,4%	48,4%
სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით	3%	12%	42,4%	39,3%
ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია	0%	3%	24%	72,7%
კვლევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია	0%	3%	30%	66,6%
უნივერსიტეტის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (Google Scholar, Web of Science, Scopus) ხელმისაწვდომია	0%	9%	30%	60,6%
კვლევის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია	3%	12%	39,3%	45,4%
უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების საერთაშორისო მობილობას	0%	24%	36%	39,5
უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში თუ სხვა ღონისძიებებში	0%	18%	33%	48,5%

კითხვარი შემუშავებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ექსპერტული დახმარებით